ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: შ.პ.ს. „ომეგა მოტორსი“, ლელი აბულაძე (595308788)

საფუძველი: 17.07.2013წ. №12/13198215-16

მისამართი: სოფელი დიღომი, „ჩალიპირები“

საკ.კოდი: №01.72.14.034.731

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – 03.04.2013წ. №557038 (AR1108328)

ფუნქციური დანიშნულება: ოფისი

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (19.07.13) დადგინდა:

„4-1“ ფასადზე: „4-3“ მონაკვეთში შენობის ძირში დამატებით მოწყობილია დაბალი კედელი. ამავე მონაკვეთში ფანჯრებს მონაცვლებული აქვთ ადგილი ქვევით 0.15მ-ით. „3-1“ მონაკვეთში ნაცვლად ალუმინის პროფილის ფანჯრებისა ღიობებში მოწყობილია მინაბლოკები და შეცვლილია მათი გაბარიტები.

„1-4“ ფასადზე: „2-3“ მონაკვეთში ფანჯრებს შორის არ არის მოწყობილი მეტალის პროფილი.

„ე-ა“ ფასადზე: დამატებით მოწყობილია სავენტილაციო მილები, რომელიც დაკავშირებულია მომიჯნავე შენობასთან.

„ა-ე“ ფასადზე: „დ-ე“ მონაკვეთში შემცირებულია კარის სიგანე 0.20მ-ით და შეცვლილია ნახატი. „ბ-დ“ მონაკვეთში შეცვლილია ორივე კარის ნახატი. „გ-დ“ მონაკვეთში სახურავზე არ არის მოწყობილი სარეკლამო ბანერი. „ბ-ე“ მონაკვეთში „±0.00“ ნიშნულზე არ არის მოწყობილი ბაქანი.

შიდა კიბეზე დამატებულია ორი საფეხური და გაზრდილია კიბის უჯრედის გაბარიტები. სახურავის ქვევით ლითონის დეტალების განლაგება არ ემთხვევა საპროექტოს.

გენგეგმაზე: „ე-ა“ და „4-1“ ფასადის მხარეს დამატებით მოწყობილია ლითონის კონსტრუქცია მსუბუქი გადახურვებით. ტერიტორიის კეთილმოწყობა არ ემთხვევა საპროექტოს.

ტერიტორიის შემომსაზღვრელი ღობის ნაწილი გაცდენილია საკადასტრო წითელ ხაზებს.

ლ. ჯღარკავა

თ. გოგინაშვილი